



პატრიარქი კირილე: პატრიარქი ბართლომეოსი საკუთარ თავს მიიჩნევს არა როგორც პირველი თანასწორთა შორის, არამედ პირველი, როგორც დანარჩენებზე ზემდგომი



ტელეარხ „სპასის“ გენერალური დირექტორის ბ. ვ. კორჩენიკოვისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც ტელეარხ „Россия 1“-ზე გავიდა 2021 წლის 20 ნოემბერს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ უპასუხა, კერძოდ, შეკითხვას კონსტანტინეპოლის პატრიარქის ბართლომეოსის იმ მოქმედებების შესახებ, რომლებიც პროვოცირებს მსოფლიო მართლმადიდებლობის განხეთქილებას.

– ზოგჯერ აზრთა სხვადასხვაობა საშინელი რამაა, როგორც ბართლომეოსთან დაკავშირებულ ისტორიაში. სულ ახლახან თქვენ მთელი პირდაპირობით განაცხადეთ, როგორც ფაქტი, რომ იგი განხეთქილებაში გავიდა. თქვენ ამ ადამიანს მრავალი წელია იცნობთ, მასთან სტამბულშიც კი

ჩაფრინდით, რომ შეგეკავებინათ ტომოსზე ხელმოწერისგან. როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ შემთხვევოდ ადამიანს, ვინც პატრიარქის ჯვრით, პატრიარქის პასუხისმგებლობითაა აღჭურვილი? ის ხომ ხედავს ახლა, როგორ ყრიან მართლმადიდებლებს ტაძრებიდან, ცემენ, აფურთხებენ, ცეცხლს უჩენენ – და ეს ყველაფერი მისი ხელმოწერის შედეგია! ის ხომ პატრიარქია, ის აგებს პასუხს ღვთის წინაშე! მე, უბრალოდ, ადამიანურად ვერ გამიგია, რა უნდა შემთხვევოდ ისეთი, რომ ასეთ რამეზე წასულიყო. რასთან გვაქვს საქმე?

– ვფიქრობ, ორი მიზეზი არსებობს. პირველი – ეს არის პატრიარქ ბართლომეოსის აბსოლუტურად ცრუ თვითცნობიერება, რომელიც საკუთარ თავს მართლმადიდებლური სამყაროს ლიდერად მიიჩნევს. მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის თვალსაზრისით ის პირველია თანასწორთა შორის, მაგრამ იგი ასეთად კი არ მიიჩნევს საკუთარ თავს, არამედ მას მიჩნია, რომ იგი პირველია, როგორც დანარჩენებზე ზემდგომი. ანუ ცდუნდა იმავე იდეით, რომლის რეალიზებამაც თავის დროზე ქრისტიანობის განყოფა გამოიწვია აღმოსავლეთსა და დასავლეთზე. და ახლა, არ შემეშინდება ვთქვა, პატრიარქ ბართლომეოსის პირადი ინიციატივით, ხელისუფლების იგივე საკითხმა უკვე მართლმადიდებელი ეკლესია გაჰყო.

ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ტრაგიკული ფურცელი, და ყველა ჩვენგანს, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრებს, გემართებს ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რომ კვლავ შევძლოთ ერთობლივი საღმრთო ექვარისტიის აღსრულება ერთი საყდრის გარშემო და მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცება ჩვენს თანამედროვეებში, რათა ეკლესიამ შეძლოს სულიერ ძალად ჩამოყალიბება, რომელიც ამ რთული თანამედროვე ცხოვრების პირობებში ადამიანს სწორი გზის მოძიებაში დაეხმარება.

– ნუთუ შეიძლება იმდენად დაგაბრმავოს ცრუდ გაგებულმა საღვთისმეტყველო კონცეფციამ, რომ საკუთარი სინდისი ჩაახშო?

– არ მინდა ასე ვიფიქრო. მე ჯერ არ მიხსენებია მეორე ფაქტორი, რომელსაც შესაძლოა ძლიერი გავლენა მოეხდინა პატრიარქ ბართლომეოსზე, – ეს პოლიტიკური ფაქტორია. კონსტანტინეპოლის პატრიარქის მდგომარეობა ყოველთვის არა მყარია. როდესაც ვამბობ „ყოველთვის“, ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, ბიზანტიის იმპერიის დაცემის მთელ შემდგომ პერიოდს. მთელი ამ ხნის განმავლობაში საპატრიარქო იმყოფებოდა და აქამდეც იმყოფება არამართლმადიდებლური პოლიტიკური ძალების კონტროლქვეშ. და საერთოდაც, ვფიქრობ, პატრიარქი ბართლომეოსი ვალდებულია, არათუ დაექვემდებაროს, არამედ შეუთავსოს თავისი პოზიცია იმ ლიბერალურ კონტექსტს, რომელიც არსებობს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და შეერთებულ შტატებში. გარკვეული აზრით, დასავლეთში ეკლესია საკმაოდ მონყვლადია. აი, უბრალო რამ: მართლმადიდებელი ეკლესია არ ეთანხმება და არც არასდროს დაეთანხმება ახალმოდურ იდეას, რომელიც ეხება საქორწინო ურთიერთობას – ჩვენ იმ თანაცხოვრებას, რასაც ახლა პრაქტიკაში ახორციელებენ ერთი და იმავე სქესის ადამიანები, განსაკუთრებულ ცოდვას ვუწოდებთ.

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88472/>